


# შპს „თბილსერვის ჯგუფი“



ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი  
ძრავებისათვის შესყიდვის შესახებ  
ელექტრონული ტენდერი

CPV34300000

სავარაუდო ღირებულება 617 600.00 ლარი

## სატენდერო დოკუმენტაცია

ქ.თბილისი  
2015 წელი

## ს ა რ ო ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის -----	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია -----	4
3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები -----	6
4. დამატებითი ინფორმაცია -----	14
5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი -----	15
6. დანართი # 1 ფასების ცხრილი-----	22
7. დანართი # 2 რეკვიზიტები -----	23
8. დანართი # 3 აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა -----	24

## ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა)
2. შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.
3. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და
4. ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
5. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ
6. ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
7. შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია
8. ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
9. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია
10. სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
11. სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც
12. მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.
13. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

## ტექნიკური დოკუმენტაცია

1. ანგარიშსწორების პირობები:
  - 1.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის ჩათვლით;
  - 1.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;
  - 1.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში;
  - 1.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;
2. ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება;
3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.
4. მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი N67 ან/და ქ. თბილისი ბელიაშვილის N25;
5. ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
6. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადაა 6 თვე, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) აღმოფხვრას გამოვლენილი ხარვეზები (წუნი), გამოვლენიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში აღნიშნულ საქონელში გამოვლენილი წუნი (ხარვეზი) არ ექვემდებარება აღმოფხვრას (შეკეთებას), მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა იგივე მოდელის საქონლით (ახალი) ან გაუმჯობესებული ტექნიკური პარამეტრების მქონე საქონლით (ახალი) გამოვლენიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღის ვადაში, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**7. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები**

ა) რეკვიზიტები (დანართი 2-ის ფორმით)

ბ) ფასების ცხრილი (დანართი # 1-ის ფორმით)

გ) საქონლის სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში).

დ) ინფორმაცია 2 წლის მანძილზე სატვირთო ავტომანქანა ავტონაწილების მიწოდების შესახებ.

**8. დამატებითი ინფორმაცია.**

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. სატენდერო დოკუმენტაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

**შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები  
(ან „მსგავსი“, „ეკვივალენტური“)**

**ფორდ კარგო 2532 NMOFF7TEDDAG79628; NM0FKPTEDDBM88618;  
NM0LKXTP6LDC94424.**

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა
<b>ფორდ კარგო ძრავები და გადაბმულობა</b>			
1	გაგრილების სისტემის გაფართოვების ავზი	ცალი	10
2	გაგრილების სისტემის გაფართოვების ავზის თავსახური	ცალი	15
3	ჰიდრომუფტა	ცალი	6
4	ვენტილატორი	ცალი	3
5	წყლის რადიატორი	ცალი	5
6	მქნევარა	ცალი	5
7	მქნევარას გვირგვინი "ვენეცი"	ცალი	5
8	გადაბმულობის დისკი	ცალი	20
9	გადაბმულობის ქურო	ცალი	10
10	ღვედები ძრავის (დინამო, ჰიდრავლიკა, გაგრილება)	ცალი	20
11	დამწოლი საკისარი "ვიჟიმნოი"	ცალი	15
12	გადაბმულობის მუშა ცილინდრი (პგუ)	ცალი	15
13	გადაბმულობის მუშა ცილინდრის (პგუ) სარემონტო კომპლექტი	კომპლექტი	10
14	გადაბმულობის მთავარი ცილინდრი	ცალი	15
15	გადაბმულობის მთავარი ცილინდრის მანჟეტების რემ.კომპლექტი	კომპლექტი	10
16	გაგრილების სისტემის პომპა	ცალი	5

*შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“*

*მის: ქ. თბილისი, კახეთის გზაჯვარედინი 67. გულ: 261-18-39*

17	პომპის სარემონტო ნაკრები	კომპლექტი	5
18	თერმოსტატი	ცალი	10
19	დაბალი წნევის ტუმბი "პადკაჩკა" ხელის	ცალი	10
20	მაღალი წნევის საწვავის ტუმბო	ცალი	2
21	სიჩქარეთა კოლოფის ტროსი მოკლე	ცალი	30
22	სიჩქარეთა კოლოფის ტროსი გრძელი	ცალი	30
23	სიჩქარეების გადამრთველი ბერკეტის სარემონტო კომპლექტი	ცალი	15
24	სიჩქარეების გადამრთველი ბერკეტის სახელური მაღალ დაბალში დილაკით	ცალი	10
25	გადაბმულობის სისტემის მაღალი წნევის პლასტმასის მილი	ცალი	10
26	ძრავის თავაკის შუასადები	ცალი	6
27	საწვავის სარქველი (აბრატკის)	ცალი	10
28	მუხლა ლილვი	ცალი	6
29	ბარბაცა (შატუნი)	ცალი	36
30	ზედა ნახევარმთვარე	ცალი	12
31	ქვედა ნახევარმთვარე	ცალი	12
32	სადები საბარბაცე ზედა	ცალი	105
33	სადები საბარბაცე ქვედა	ცალი	105
34	მუხლა ლილვის სადები ძირითადი (ვკლადიში) ლურჯი ზედა	ცალი	105
35	მუხლა ლილვის სადები ძირითადი (ვკლადიში) ლურჯი ქვედა	ცალი	105
36	ძრავის უკანა ჩოხალი	ცალი	10
37	ძრავის წინა ჩოხალი	ცალი	10
38	ძრავის თავაკის შუასადები	ცალი	20
39	ძრავის საფენების სრული კომპლექტი	კომპლექტი	20
40	გამშვები კოლექტორის შუა ნაწილის სადები	ცალი	60
41	გამშვები კოლექტორის რგოლისებრი სადები	ცალი	60
42	წყლის პომპის სადები	ცალი	10

43	ზეთის რადიატორის შუასადები	ცალი	10
44	დგუშის რგოლები (1კომპლექტი 3 ცალი)	კომპლექტი	105
45	ძრავის ზეთის ტუმბო	ცალი	10
46	ძრავის ბლოკი (კომპლექტში, მუხლა ლილვით, დგუშები, საბარბაცე და ძირითადი სადებებით, დგუშის რგოლებით)	ცალი	5
47	ძრავის თავაკი (კომპლექტში მფრქვევანის სპილენძის ბუდეებით)	ცალი	5
48	შემშვები სარქველის "სუხარიკი"	კომპლექტი	30
49	გამშვები სარქველის "სუხარიკი"	კომპლექტი	30
50	გამშვები სარქველის ზამბარა	ცალი	30
51	შემშვები სარქველის ზამბარა	ცალი	30
52	ძრავის სარქველი შემშვები	ცალი	30
53	ძრავის სარქველი გამშვები	ცალი	30
54	ძრავის ზეთის რადიატორი	ცალი	5
55	ძრავისქვეშა სადები ბალიშები	ცალი	10
56	ძრავის თავაკის თავსახური (საქმენით)	ცალი	5
57	ძრავის თავსახურის საქმენის ფილტრი	ცალი	30
58	ტურბოკომპრესორი	ცალი	2
59	მფრქვევანები	ცალი	24
60	საჭის ჰიდრავლიკური გამაძლიერებელი ტუმბო	ცალი	10
<b>ფორდ კარგო 2532 სავალი ნაწილი</b>			
1	მორგვი წინა	ცალი	5
2	მორგვის საკისარი წინა (შიდა, გარე)	კომპლექტი	20
3	მორგვის საკისარი უკანა (შიდა, გარე)	კომპლექტი	20
4	მორგვის საკისარი პილოტის (შიდა, გარე)	კომპლექტი	20
5	მორგვის ჩობალი წინა შიდა	ცალი	30
6	მორგვის ჩობალი უკანა გარე	ცალი	30
7	მორგვის ჩობალი უკანა შიდა	ცალი	30



8	განივი წვევა წინა	ცალი	2
9	გრძივი წვევა წინა	ცალი	2
10	კარდნის საკიდი რეზინა საკისრით	ცალი	15
11	კარდნის სამაგრი ჭანჭიკი და ქანჩი	ცალი	50
12	წინა დაკიდების ტაპიკი-ის (შკვორნი) სარემონტო კომპლექტი (კომპ. შედის ტაპიკიც)	ცალი	16
13	რესორი წინა კომპლექტში	კომპლექტი	10
14	წინა რესორის მილისები (კომპლექტი 2 ცალი)	კომპლექტი	30
15	წინა რესორის ავჟანდები	ცალი	30
16	წინა რესორის დამჭერი ყურები წინა მარცხენა	ცალი	10
17	წინა რესორის დამჭერი ყურები წინა მარჯვენა	ცალი	10
18	წინა რესორის დამჭერი ყურები უკანა მარცხენა	ცალი	10
19	წინა რესორის დამჭერი ყურები უკანა მარჯვენა	ცალი	10
20	წინა რესორის წინა თითი ჭანჭიკით	ცალი	20
21	წინა რესორის უკანა თითი ჭანჭიკით	ცალი	20
22	რესორის სამაგრი ყურის ჭანჭიკი და ქანჩი	ცალი	200
23	რესორი უკანა კომპლექტში	კომპლექტი	30
24	უკანა რესორის მილისები (კომპლექტი 2 ცალი)	კომპლექტი	30
25	უკანა რესორის ავჟანდები	ცალი	30
26	უკანა რესორის ცენტრალური ქანჩი და ჭანჭიკი	ცალი	8
27	უკანა რესორის წინა დამჭერი ყურები	ცალი	20
28	უკანა რესორის წინა დამჭერი ყურების თითები	ცალი	30
29	წამყვანი და პილოტი ხიდის რესორის დამჭერი (აქლემი მილისით)	ცალი	30

30	წამყვანი და პილოტი ხიდის რესორის დამჭერი (აქლემი) ის თითები	ცალი	15
31	წამყვანი და პილოტი ხიდის რესორის დამჭერის რკინის ბალიში	ცალი	100
32	წამყვანი და პილოტი ხიდის რესორის დამჭერის რკინის ბალიშის დამჭერი ჭანჭიკი	ცალი	200
33	რესორი უკანა (პილოტი) კომპლექტში	ცალი	15
34	რესორი უკანა (პილოტი) ის ავჯანდები	ცალი	10
35	უკანა რესორის (პილოტის) ამწევი ცილინდრები	ცალი	6
36	საბურავის დისკები ლ22.5	ცალი	20
37	საბურავის სარჭი და ქანჩი	ცალი	300
<b>ფორდ კარგო 2532 ელექტრო სისტემა და სტარტერები</b>			
1	სტარტერი	ცალი	8
2	გენერატორი	ცალი	6
3	მონაცემთა დაფა	კომპლექტი	5
4	ელექტრო მაჩვენებლების და სპიდომეტრის დაფა	კომპლექტი	15
5	ზეთის წნევის გადამწოდი 1	ცალი	25
6	ზეთის წნევის გადამწოდი 2	ცალი	25
7	საწვავის წნევის გადამწოდი (მაღალი წნევის ტუმბოს ელ. სარქველი)	ცალი	15
8	აბშ ის ამთვლელი გადამწოდი	ცალი	15
9	ზეთის წნევის დაჩიკის შტეკერი	ცალი	25
10	კომბინირებული გადამრთველი	ცალი	8
11	კარების მინის ამწევი ღილაკი	ცალი	20
12	გათბობის სისტემის ვენტილატორის ძრავი	ცალი	10
13	მოხვევის მაჩვენებლის რელე	ცალი	20
14	დამქოქი მექანიზმი გასაღებით კომპლექტში	ცალი	5

15	ფრთის მოხვევის მაჩვენებელი (კრილოს)	ცალი	40
16	წინა შორსმაშუქი	ცალი	20
17	წინა ახლომაშუქი	ცალი	20
18	წინა მაშუქი ნისლსაწინააღმდეგო	ცალი	20
19	უკანა მაშუქი (მარჯვენა, მარცხენა)	ცალი	50
<b>ფორდ კარგო 2532 ჰაერის სისტემა და მუხრუჭები</b>			
1	ჰაერის კომპრესორი	ცალი	4
2	ჰაერის კომპრესორის სარემონტო კომპლექტი (დგუმი, რგოლები, თავაკი, თავსახური, საფენების და ფირფიტების კომპლექტი)	კომპლექტი	5
3	ჰაერის რეზერვუარი (ბალონი)	ცალი	2
4	ჰაერის რეზერვუარის დამცლელი კლაპანი	ცალი	10
5	ჰაერის გამაგრილებელი მილი (ზმეიკა)	ცალი	5
6	მუხრუჭის მთავარი ცილინდრი	ცალი	10
7	სამუხრუჭე ბარაზანი	ცალი	15
8	სამუხრუჭე სისტემის მექანიზმი	ცალი	10
9	ჰაერმშრობის სადგარის სარემონტო კომპლექტი	კომპლექტი	15
10	ჰაერმშრობის სადგარი (ჰაერის გამანაწილებელი)	ცალი	20
11	სამუხრუჭე ხუნდების საფენები "ნაკლადკები" (კომპლექტი 8ცალი)	ცალი	100
12	სამუხრუჭე ხუნდები საფენებით	ცალი	40
13	სამუხრუჭე მილი ზედა	ცალი	30
14	სამუხრუჭე მილი ქვედა	ცალი	30
15	ჰაერის გამანაწილებელი (ფშიკალკა)	ცალი	15
16	ენერგოაკუმულატორი პატარა	ცალი	20
17	ენერგოაკუმულატორი დიდი	ცალი	40
18	ხელის მუხრუჭის ონკანი	ცალი	40

ფორდ კარგო 2532 კაბინა			
1	საქარე მინა	ცალი	4
2	კარების მოძრავი მინა მარჯვენა	ცალი	3
3	კარების მოძრავი მინა მარცხენა	ცალი	3
4	კარების მინა ბუმერანგისებური მარჯვენა	ცალი	3
5	კარების მინა ბუმერანგისებური მარცხენა	ცალი	3
6	კარების მინა სამკუთხედი მარჯვენა	ცალი	3
7	კარების მინა სამკუთხედი მარცხენა	ცალი	3
8	უკანა ხედვის სარკე დიდი	ცალი	20
9	მინამწმენდი	ცალი	100
10	წინა ბამპერი	ცალი	8
11	წინა ბამპერის მესერი	ცალი	2
12	გვერდითი ფრთა მარჯვენა	ცალი	7
13	გვერდითი ფრთა მარცხენა	ცალი	7
14	კაბინის დამჭერი ზამზარისანი ამორტიზატორი	ცალი	25
15	კაბინის ჩამკეტები	ცალი	15
16	კაბინის ვტულკები	ცალი	40
17	კაბინის ამწევი ცილინდრი	ცალი	10
18	კაბინის ამწევი მექანიზმი (დომკრატი)	ცალი	12
19	კაბინის ამწევი მექანიზმის მაღალი წნევის მილები	კომპლექტი	10
20	კარების მინის ამწევი მექანიზმი მარჯვენა ძრავით	ცალი	5
21	კარების მინის ამწევი მექანიზმი მარცხენა ძრავით	ცალი	5
22	კარების გამლები მექანიზმი მარჯვენა შიდა ზაგირით	ცალი	15
23	კარების გამლები მექანიზმი მარცხენა შიდა ზაგირით	ცალი	15
24	კარების გამლები მექანიზმი მარჯვენა შიდა (რკინის)	ცალი	15

25	კარების გამღები მექანიზმი მარცხენა შიდა (რკინის	ცალი	15
26	კარების გამღები მექანიზმი მარჯვენა გარე პლასმასის	ცალი	15
27	კარების გამღები მექანიზმი მარცხენა გარე პლასმასის	ცალი	15
28	კაპოტის დამჭერი ამორტიზატორი	ცალი	8
29	გათბობის რადიატორი	ცალი	10
30	გათბობის სისტემის ონკანი	ცალი	8

### შენიშვნა:

პრეტენდენტი ვერ გაივლის შერჩევას თუ მას არ გააჩნია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში სატვირთო ავტომანქანის ნაწილების მიწოდების გამოცდილება.

შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა იყოს მაღალი, შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, ხარისხობრივ მონაცემებს და პასუხობდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად.

## დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო კომისიის აპარატში წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 67. საკონტაქტო პირი: ბექა ბერაძე +995 32 2611850;

e-mail: [tbilservicegroup@yahoo.com](mailto:tbilservicegroup@yahoo.com)

**ხელშეკრულება**  
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ # --- (პროექტი)**

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

„ „----- — წელს

**1. ხელშეკრულების მხარეები**

ერთის მხრივ, შპს „თბილსერვის ჯგუფი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით, მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ----- სახით, მისამართი -----.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 შემსყიდველის მიერ ჩატარებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ----- ;

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. შესასყიდი მომსახურების ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“) შეადგენს ----- ;

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად)

**4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი**

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მოწოდებული საქონელი შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე ტექნიკურ სტანდარტებს და ნორმებს, ხოლო რაოდენობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

4.2 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადაა 6 თვე, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) აღმოფხვრას გამოვლენილი ხარვეზები (წუნი), გამოვლენიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში აღნიშნულ საქონელში გამოვლენილი წუნი (ხარვეზი) არ ექვემდებარება აღმოფხვრას (შეკეთებას), მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა იგივე მოდელის საქონლით (ახალი) ან გაუმჯობესებული ტექნიკური პარამეტრების მქონე

*შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“*

*მის: ქ. თბილისი, კახეთის გზაჯვარი 67. ტელ: 261-18-39*

საქონლით (ახალი) გამოვლენიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღის ვადაში, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე.

### **5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები**

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველს მიერ კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით;

5.2 მიწოდების ადგილი – ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი N67 და/ან ქ.თბილისი ბელიაშვილის N25;

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით და ტექნიკური საშუალებებით.

### **6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას.

6.3 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები არიან შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს საწყობის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მიღებას ახორციელებენ ინსპექტირების განმახორციელებელი პირების თანდასწრებით.

6.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

### **7. ანგარიშსწორება**

7.1 შესასყიდი ობიექტის ღირებულება დაიფარება ეტაპობრივად, კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად, არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმების დღიდან;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

### **8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს „მიმწოდებელი“ ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ საქონლის ღირებულება;

*შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“*

*მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 67. გელ: 261-18-39*



8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2. მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.2.4. მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლა ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2. მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლში აღნიშნული საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საკუთრებაში.

8.3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს „შემსყიდველი“ ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4. აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.3.5. საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო საქონელი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

8.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.4.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

## 9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1. იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკი, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არაუმცირეს 30 დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადას.

9.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო.

9.3. მიმწოდებელს საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

9.4. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს დაუბრუნოს გარანტია შემდეგ შემთხვევებში;

9.4.1. გარანტიის მოქმედების ვადის გასვლისთანავე;

9.4.2. მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას;

- 9.4.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას;  
 9.4.4 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

### 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5 % ოდენობით;  
 9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;  
 9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

### 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;  
 10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;  
 10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;  
 10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ტრანსპორტის განყოფილება;

### 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;  
 11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;  
 11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;  
 11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე;

- 11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- 11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- 11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 11.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 12. სუბკონტრაქტორები

- 12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადადებარე ხელშეკრულების დამატების სახით;
- 12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;
- 12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

## 13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

- 13.1 მხარეები უფლებამოსილი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;
- 13.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;
- 13.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ` საქართველოს კანონის და `სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ` დებულებით` გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 13.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

## 14. ფორსმაჟორი.

- 14.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;
- 14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოწახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

### 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

### 16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

16.2 თუ “შემსყიდველი” და “მიმწოდებელი” მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

### 17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

17.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

17.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას.

17.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად.

17.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

17.8. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

17.9 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე პირად, ქართულ ენაზე. 1 პირი ინახება შემსყიდველთან, 1 პირი გადაეცემა მიმწოდებელს;

17.10 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;

17.11 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას;

### 18. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შპს „თბილსერვის ჯგუფი“

დირექტორი

-----

„მიმწოდებელი“

-----

### საბანკო რეკვიზიტები

შპს „თბილსერვის ჯგუფი“

მის: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი 67

ს/ნ 206267494

სს „ლიბერთი ბანკი“

ცენტრალური ფილიალი

კოდი: LBRTG22

ანგ. N: GE90LB0113172770216000

დანართი N1

## ფასების ცხრილი

საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ღირ- ბა
1	2	3	4	5	6	7

პრეტენდენტის ხელმოწერა: -----

ბ.ა.

დანართი N2

## რეკვიზიტები

პრეტენდენტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და დასახელება	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი	
საიდენტიფიკაციო კოდი	
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი	
ელექტრონული ფოსტა	
ბანკის კოდი	
ანგარიშწორების ანგარიში	

პრეტენდენტის ხელმოწერა: -----

ბ.ა.

### აფიდავიტი

#### სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

\* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

\* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვანერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

\* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

\* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

\* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მინოდეების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

\* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმუღავნებია ან/და არ გაუმუღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავაცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.